ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31

2015 წლის 3 აპრილი

ქ. გორი

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და გადახდის წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქრათველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და გადახდის წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №18 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 05/03/2015 210020010.35.174.016060) დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. დასუფთავების მოსაკრებლისგან თავისუფლდებიან:

ა) პირველი ჯგუფის ინვალიდები და მათი ოჯახის წევრები („ოჯახის წევრში“ იგულისხმება პირის მეუღლე, შვილი და გერი) ;

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრები („ოჯახის წევრში“ იგულისხმება პირის მეუღლე, შვილი და გერი, მშობლები);

გ) სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 35 000 და ნაკლები ქულის მქონე ოჯახები ;

დ) მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი) ოჯახები („ოჯახის წევრში“ იგულისხმება პირის მეუღლე, შვილი და გერი) ;

ე) მიუსაფარ მოხუცთა და ბავშვთა სახლები.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **პაპუნა კობერიძე**